# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 136

„28“ აპრილი 2017 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობისათვის დაკისრებული / დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ზაზა დოლიძის (პ/ნ:01023003897) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობისათვის დაკისრებული / დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ზაზა დოლიძის (პ/ნ:01023003897) გათავისუფლების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 12 აპრილის N13.41.263 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 12 იანვრის NE-84-22-4194, 2012 წლის 12 იანვრის NE-84-23-4195, 2012 წლის 11 იანვრის NE-83-2-4124, 2012 წლის 12 მარტის NE-102-74-4744, 2012 წლის 12 იანვრის NE-84-16-4188 და 2012 წლის 12 იანვრის NE-84-17-4189 გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ზაზა დოლიძის (პ/ნ:01023003897) გათავისუფლებაზე, იმ პირობით თუ ზაზა დოლიძის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის (ქირის) დავალიანების სრულად გადახდა განხორციელდება ამ განკარგულების გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი